საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/2677-18 "03" 08 2018 წ

შპს „iConnect"-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ **2018 წლის 2 აგვისტოს 15:00 საათზე** შპს „iConnect"-ის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმის წარმოუდგენლობისა და 1,327,59 ლარის ოდენობით რეგულირების საფასურის გადაუხდელობის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დანიშნული საკითხის განხილვა გადაიდო და გაიმართება **2018 წლის 16 აგვისტოს, 15:00 საათზე,** მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18 (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №შ-10/3301-18 მოხსენებითი ბარათი).

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განიხილება შპს "iConnect"-ის დაჯარიმების საკითხი მის მიერ 2018 წლის მარტის, აპრილისა და მაისის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმის წარმოუდგენლობის, ასევე, 2017 წლის 30 ნოემბრის 776/18 გადაწყვეტილებით დაკისრებული ჯარიმისა (3000 ლარის ოდენობით) და რეგულირების საფასურის (1,268,91 ლარის ოდენობით) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს "iConnect"-ის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 9000 და არაუმეტეს 90000 ლარისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია დაგაკისროთ ჯარიმა 9,000 ლარის ოდენობით ან შეაჩეროს ავტორიზაცია 19[1] მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან თქვენ მიმართ უკვე გამოყენებულია გაფრთხილება და ჯარიმა სანქციის სახით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისთვის.

შეგახსენებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 27 ივლისი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის 2018 წლის 27 ივლისის N03/2524-18 შეტყობინება (4 ფურცელი).

იოსებ ხარებავა
ადმინისტრაციის უფროსი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge